ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 269

ქ. ბათუმი

9 დეკემბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი მიქელაძის** სახით და **შპს „ჰეკატე“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვლადიმერ მახარაძის** სახით, მეორეს მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: სამედიცინო სახარჯი მასალების (CPV-33140000) და ფარმაცევტული პროდუქტების (CPV-33600000) სახელმწიფო შესყიდვა.
2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი თანდართული ფასების ცხრილის (ფორმა N3) შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **224,88** (ორასოცდაოთხი ლარი და 88 თეთრი) ლარს, მათ შორის: (CPV-33140000) - 129,74 ლარი, (CPV-33600000) – 95,14 ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია“ ქალაქი ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია მუსიკალური ცენტრის მომარაგებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკის მენეჯერი რამაზ შველიძე.
5.3. საქონლის ჩათვლება მიღებულად მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მიმართებით შედგენილი სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული წესით შედგენილი სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთოთოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. ხელშეკრულების 9.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.
9.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს
12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
95. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სხვა პირობები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 584 274
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 05 11 10 03

მიმწოდებელი:

შპს „ჰეკატე"

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 436 096
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ., N 32,
მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE42 TB75 7983 6020 1000 01

გიორგი მიქელაძე

ვლადიმერ მახარაძე

ინფორმაცია
ფასების ცხრილი და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა N3

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ამბუ (ნიღაბი ჟანგბადის)	შეფუთვა	1	64,04	64,04
2	ბამბა	შეფუთვა	2	0,40	0,80
3	ბარალგინი 500 მგ. 5 მლ. N5 ამპ	კოლოფი	1	5,29	5,29
4	ბარალგინი N10 ტაბ.	შეფუთვა	1	0,45	0,45
5	ბეტადინი 30 მლ, ხსნარი	ფლაკონი	2	5,21	10,42
6	ბინტი 5 მ x 10 სმ, ა/სტერ.	ცალი	2	0,37	0,74
7	ბინტი 7 მ x 14 სმ. სტერ.	ცალი	2	0,62	1,24
8	ბინტი ელასტიური 10x300 სმ	ცალი	2	4,50	9,00
9	ბინტი ელასტიური 8x300 სმ	შეფუთვა	2	4,49	8,98
10	დექსამეტ 4 მგ. 1 მლ. N25	კოლოფი	0,2	13,83	2,77
11	ვალერიანის ნაყენი 25 მლ	ფლაკონი	2	0,68	1,36
12	ვალერიანის ტაბლეტი N50	შეფუთვა	2	0,48	0,96
13	ვალიდოლი 0,06 N10 ტაბ	ცალი	3	0,36	1,08
14	იოდი 5%, 10 მლ. სპირტხს. შუშა	ფლაკონი	2	0,40	0,80
15	კაპტოპრილი 25 მგ. N20 ტაბ	შეფუთვა	1	4,46	4,46
16	კეტონალი 2 მლ. N10 ამპ.	კოლოფი	1	7,43	7,43
17	კორდარონი 200 მგ. N30 ტაბ	შეფუთვა	1	11,48	11,48
18	კორდიამინი 25%, 25 მლ წვ.	ფლაკონი	2	2,18	4,36
19	კორდიამინი 25%, 2 მლ N10 ამპ	შეფუთვა	1	4,62	4,62
20	კორვალოლი 25 მლ.	ფლაკონი	2	0,66	1,32
21	კორსიზი N100 ტაბ	კოლოფი	1	12,31	12,31
22	ლეიკო PELIKAN N10	ცალი	5	0,19	0,95
23	ლეიკოპლასტირი 2x500 სმ	ცალი	2	0,97	1,94
24	ნიფედი-დენკი რეტარტი 20 მგ. N100 ტ	შეფუთვა	0,1	17,85	1,79
25	ნიფედიპინი-ნეო N40 ტაბ	კოლოფი	1	2,38	2,38
26	ნო-შპა 40 მგ. N100 ტ.	შეფუთვა	1	11,28	11,28
27	ჟგუტი (რეზინის გადამჭერი)	ცალი	1	1,72	1,72
28	სააფთიაქო სამედიცინო ყუთი	ცალი	3	3,36	10,08
29	სამედიცინო ბასილები (წყვ)	ცალი	50	0,25	12,50
30	სამედიცინო ნიღაბი	ცალი	50	0,09	4,50
31	სპირტი 95% 100 მლ.	ცალი	2	0,88	1,76
32	სუპრასტინი 20 მგ. 1 მლ. N5 ამპ.	კოლოფი	1	7,87	7,87
33	ფურაცილინი 0,02% 100 მლ. ხსნარი	ფლაკონი	1	0,32	0,32
34	წყალბადის ზეჟანგი 3% 100 მლ	ფლაკონი	2	0,32	0,64
35	ხელთათმანი ა/სტ M წყვ.	ცალი	50	0,21	10,50
36	ხელთათმანი სტერილური N8.5	ცალი	5	0,55	2,75
	სულ ჯამი (GEL):		**207,30**		**224,88**

მიმწოდებლის დასახელება – შპს „ჰეკატე“

ხელწერა ..... ვლადიმერ მახარაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქალაქი ბათუმი

9 დეკემბერი, 2019 წელი

ხელწერილით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ შპს „ბათუმის სამედიცინო სახლი"–საგან სამედიცინო სახარჯი მასალების (CPV-33140000) და ფარმაცევტული პროდუქტების (CPV-33600000) შესყიდვის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

დირექტორი: გიორგი მიქელაძე

მომარაგებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკის მენეჯერი: რამაზ შველიძე